



# ქართული ოცნება

## ერთად საქართველოს წარმატებისთვის!



შპს-სიანი პოლიტიკური რეკლამა



# ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გაშრობის  
1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .  
ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10365) 29 ოქტომბერი 2020 წ. შპსი 60 თეთრი.

შპს-სიანი პოლიტიკური რეკლამა



### ძვირფასო გურულებო!

მოგინოდებთ, 31 ოქტომბერს დიდი სიფრთხილითა და რეგულაციების ზედმინევიანობით, მოდით არჩევნებზე! არ დაუტოვოთ „ოცნებას“ არცერთი ხმა!

შემოხაზეთ 56 - „ლელო საქართველოსთვის“!

შემოხაზეთ 56, რადგან „ლელო“ იღებს პასუხისმგებლობას მომდევნო 4 წლის განმავლობაში საქართველოს ქაობიდან ამოყვანასა და ისეთ განვითარებაზე, რომელიც თითოეული მოქალაქისათვის იქნება ხელშესახები.

„ლელო“ უნდა აირჩიოს იმიტომ, რომ ეს არის გამოცდილი პროფესიონალების გუნდი, რომელსაც არ აქვს შემხებლობა 30 წლიანი ისტორიის მქონე ქართულ ბინძურ პოლიტიკასთან.

ჩვენ ვართ ახლებური, სუფთა მენტალიტეტის პროფესიონალები, რომელთათვისაც ახალი პოლიტიკური სტანდარტის დამკვიდრება არის იდეალიც და ამოცანაც.

„ლელოს“ გუნდს აქვს ახალგაზრდული ბრძოლის წინი და

მიზანი, რომ სახელმწიფოს აღარ იყენენ დაპატრონებულნი ის ადამიანები, ვინც ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს ჩვენი სამშობლო.

„ლელოს“ ხელისუფლების პირობებში საქართველო იქნება ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული და უაღრესად თანამედროვე სახელმწიფო.

ჩვენ გპირდებით პატიოსნად მსახურებას და არა პატრონობას.

„ლელო“ არის ახალი ძალა! ახალი იმედი!

სწორედ ამიტომ, - მოდით არჩევნებზე და შემოხაზეთ 56.



შპს-სიანი პოლიტიკური რეკლამა

### საქართველოს პარლამენტის არჩევნების 24-ე მაჟორიტარულ ოლქში რეგისტრირებული მაჟორიტარები:

- №2.** სათუნა ვოგორიშვილი, - „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო-მოდრობა თავისუფლებისათვის“;
- №5.** მანუჩარ კვიციანი, - საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია““;
- №8.** შოთა გოგივაძე, - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- №10.** დავით მამალაძე, - „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
- №19.** ნინო შაფრიანი-გოგორიძე, - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“;
- №24.** ოთარ ქარაძე, - „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;
- №26.** ნინო ორბელიანი, - ეკა ბესელია -პ.პ. „სამართლიანობისათვის“;
- №36.** ვახტანგ ჯანაშიანი - „გირჩი“;
- №41.** ვასილ ჩიბრაძე, - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
- №44.** ლაშა ხვციანი, - „ლევან ჩიჩუა, გურამ ფალავანდიშვილი -ქართული იდეა“;
- №55.** რამაზ ზომიძე, - „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“;
- №56.** გიორგი სიორიძე, - „ლელო-მამუკა ხაზარაძე“;
- №61.** გოგა კვიციანი, - საინიციატივო ჯგუფი: რევაზი გობრონიძე, ლუიზა მანჯანაშვილი, შურა ბარამიძე, როლანდ ბანძავა, გივი ჭელიძე.

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთიერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ნიშნები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე  
**«ალიონი»**

## მდინარე სუფსას უკვე ნატანი აღარ აქვს, უმიწირავს თუ არა სამტრედია-შეგვიტილის ტრასის მოხდას გურიის მდინარეებს



**ალიონი.** წელს გაზეთ „ალიონ-მა“ რამდენჯერმე მიუძღვნა ვრცელი წერილი მდინარე სუფსისა ნატანების აუზებში ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით ხეობების აოხრების ფაქტებს. „ნატა 2000“, „სამი ძმა“, „ქი უმ სი“, „ბორან ქონიარქმენი“, „ჯორჯიან მინერალსი“, რომელთა უკან დღეს საქართველოში გაველენიან პირებს ასახელებენ.

სუფსისა და ნატანები-ბუჟუის ხეობებში სასარგებლო წიაღისეულის შესივდაზე ლიცენზიები „ნატა 2000“ აქვს (დირექტორი ლევან სვანაძე; იგი კომპანია „აკეთის მფლობელიცაა“). მათ ერთ-ერთი ხელშეკრულება 2020 წლის 20 მაისს გააფორმეს შპს „სამ ძმასთან“ (დირექტორი ივერი ფუტყარაძე).

ამ ხელშეკრულებით „სამძმა ძმა“ 100 000 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში უნდა ამოიღონ მდინარე სუფსის აუზიდან, რაშიც მათ ოფიციალურად 400 000 ლარი უნდა გადაეხადათ „ნატა 2000“-თვის.

იმ პერიოდში „ნატა 2000“ ლიცენზია დაყვადებული იყო და იგი არც წიაღის ეროვნულ სააგენტოში იყო რეგისტრირებული, არ ახლდა წლიური მოპოვების გეგმა და ა.შ. რაც მთავარია, მდინარე სუფსის კონკრეტულ მონაკვეთზე ფიზიკურად არ არის „ნატა 2000“-ის ლიცენზიაში მითითებული 400 00 კუბური მეტრი ქვიშა-ლორდი. თვეების განმავლობაში იმართებოდა სოფლების ბაილეთისა და სილაუ-

ბეგლო ქვიშა-ლორდის მოპოვებელი კომპანიების იმედოდ არ უნდა იყოს და ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს - ჩვენს სოფლებს, მის მოსახლეობას ზიანი არ უნდა მიაყენოს.

სუფსის, ნატანების და რევიონის სხვა მდინარეების ხეობებში მოსახლეობის არაერთი საპროტესტო აქცია მიუთითებს, რომ წიაღის ეროვნული სააგენტო ადგილებზე არ სწავლობს ამჟამად არსებულ მდგომარეობას, მოსახლეობა არ იცნობს ლიცენზიის პირობებს და მათი საკარმიდამო თუ საყანე ფართობების გვერდით ტრაქტორების ავგუუნების შემდეგ იგებენ, რომ ქვიშა-ლორდის მორიგი კარიერი გაიხსნა...

—რაჭომ არ მოდიან ხალხთან ამ კომპანიის წარმომადგენლები. ისინი ჩვენ არად გვაგებენ, მაგრამ არ სცოდნათ ხალხის ძალა. ახლა ამბობენ, საბუთები გვაქვს ადგილმონაცვლეობაზე ბატონი კოტე შარაშენიძის ხელმოწერილი, მაგრამ არც ამ საბუთის შესახებ ვიცით სინამდვილეში. თავის ღრობე პრეტენზიები გვქონდა მეორე კომპანიის „ქი უმ სის“ მიმართაც, მაგრამ შემდეგ ამ კომპანიამ ამ ხეობის 4 სოფელთან გააფორმა მემორანდუმი, რომელიც მილიონიან დაფინანსებას ითვალისწინებს. ყანებს დავეითესავენ, გზებს გააკეთებენ, გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარნენ — გვითხრა აქციის მონაწილე **ლია პაიჭაძე**.“ (გაზეთი „ალიონი“, 17 აგვისტო, №21).

პერსონალურად აქციებმა გარკვეული დროით შეაფერხა მდინარე აუზში ქვიშა-ლორდის მოპოვება, თუმცა შემდგომ, მოსახლეობაც უიმედობამ მოიცვა, აქციებზე თანდათან იკლებდა მონაწილეთა რიცხვი. ზოგი შეაშინეს, ზოგი მოისყიდეს, ერთეულებმა კი ვერ შეინარჩუნეს საპროტესტო მუხტი.

—შევანი გურია ფულის საჯიჯგვ გურიად იქცა. მდინარის ფსკერსაც აღარ ტოვებენ — ამბობდა გაზეთ „ალიონთან“ სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე** და იგივეს იმეორებს ახლაც.

21 ოქტომბერს სათემო ორგანიზაცია „ეკომ“ ოზურგეთის მერის წარმომადგენელთან ერთად სუფსის ხეობა მონახულა და ირმა გორდელაძემ სოციალურ ქსელში შემდეგი პოსტი გაავრცელა:

„დღეს ისევ მოვიხანხლეთ საცოდავი მდინარე სუფსა სილაურში...“

## რა გახდა ოზურგეთის საბავშვო ბაღებში ბავშვების ინტოსიკაციის მიზეზი, ლუბარის ლაბორატორია იკვლევს

**ალიონი.** 17 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთის № 2,9, ურეკის, წვერმაღალას, ნასაკირალის, ვაკიჯვრის, ნასაკირალი 2 (დვაბზუს დასახლება), ჭანიეთის, ჯუმათის, სილაურის, კონჭკათის, ლიხაურის საბავშვო ბაღებში ბავშვების ინტოსიკაციის ფაქტები გამოვლინდა.

ოზურგეთის ბაღების გაერთიანების უფროსის მაკა ჭყონიას თქმით, ბაღებში სწავლა ხუთშაბათს დაიწყო.

—ხუთშაბათს 600 ბავშვი გამოცხადდა ბაღებში. ზემოთდასახელებული ბაღების 83 აღსაზრდელს სახლში აღენიშნა ინტოსიკაციის ნიშნები: პირღებინება, მაღალი ტემპერატურა და დიარეა. ერთ-ერთი ბავშვი მშობელმა ბათუმში გადაიყვანა გამოსაკვლევად. ამჟამად საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სურსათის უვნებლობის სამსახური, ეპიდემიოლოგები, თავნთი პროფილის მიხედვით იკვლევენ, თუ რა შეიძლება გამხდარიყო ბავშვების მოწამვლის მიზეზი. ბავშვები სახლებში იმყოფ-

გამოვლინდა ინტოსიკაციის ნიშნები, ახლა ეს ციფრი 100-მდეა გაზრდილი. აქედან 6 იმყოფებოდა ოზურგეთის „მედიკალს“ კლინიკაში, ახლა იქ ერთი იმყოფება; 3 ბავშვი, მშობლების სურვილით ქ. ბათუმში, დედათა და ბავშვთა ცენტრში იმყოფებიან. ყველა ბავშვს გაეწია ამბულატორიული დახმარება და ისინი ამჟამად ოჯახის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არიან. ჩვენ ავიღეთ 18 ნიმუში იმ ბავშვებიდან, რომლებსაც ჰქონდათ პირღებინება, მაღალი ტემპერატურა და დიარეა. ანალიზებს ამჟამად ლუგარის ლაბორატორიაში იკვლევენ და პასუხები 2-3 დღეში გახდება ცნობილი. ამის შემდეგ შეგვეძლება დავასკვნათ ეს იყო კვებითი ინტოსიკაცია თუ ენტეროვირუსი — გვითხრა ელზა სიმონიშვილმა.

ოზურგეთის „მედიკალს“ კლინიკაში მყოფი ბავშვები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ მონახულა:

—ოზურგეთის „მედიკალ-ფას“ კლინი-

ორი კომპანია მუშაობს აქ, „ქი უმ-სი“ და „სამი ძმა“, „ნატა 2000“-ის ლიცენზიით, რომელიც თავიდანვე შეცდომით, კანონდარღვევით გასცა წიაღის ეროვნულმა სააგენტომ. „ნატა 2000“ ორივე ლიცენზიაში მოქცეულია მოსახლეობის სახნავ-სათესი (დამამტკიცებელი დოკუმენტაციები გვაქვს), ასევე დარღვეულია ზღვიდან 20 კილომეტრიანი ზოლი.

საქმე იმაშია, რომ მდინარეს უკვე ნატანი აღარ აქვს. შემოცდილია როგორც სანაპირო ზოლი, ასევე ჩაღიან მთელ სიღრმეზე მდინარის კალაპოტში და თორზე არიან დასული. ორივე კომპანია აბოვებს ერთდროულად და ფაქტობრივად მდინარეს ნატანი აღარ აქვს ვერც ივსება გლობალური დათბობის გამო, ყოველდღე 150 მდე სატვირთო გამოდის კარიერიდან... ინგერვა როგორც მუნიციპალური, ასევე სახელმწიფო მნიშვნელობის გზები... ოზურგეთის მერიამ არ გვადირსა ტენდერი სასწორების შესატენად, არადა ბიუჯეტში ისევ გათვალისწინებულია მათი შესატენი თანხა.

არ ვიცი ავტობანის აშენებას მიწით აპირებთ? აღარ აქვს სუფსას და ნატანებს ღორი... ვერც ურეკ-გრიგოლეთის სანაპიროზე ჩააქვს მდინარეებს ნატანი და იქაც ეროვნული პროცესები ვითარდება... და პატრონიც არ ყავს ამ ქვეყანას. შესაბამისი ინსტანციები რომელთაც ამ პროცესის კონტროლი ვეალება ამ მოსყიდულია, ან დაშინებული კლანების მიერ... ასევეა მოსახლეობაც.

გამოსავალი ამ ეტაპზე არის... მერიამ უნდა შეიძინოს სასწორები და კარიერებიდან გამოძვარილი ზემდომე სატვირთოები აიწონოს...“ — წერს ირმა გორდელაძე.

როგორც სოფელ სილაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გიორგი კილაძემ** გვითხრა, კომპანია „ქი უმ-სი“, სოფლებთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სოფელ სილაურში „სვანის წყაროს“ (მე-2 ბრიგადა) უბანში, სოფლის ცენტრიდან ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათის გზასთან დამაკავშირებელ 1,8 კილომეტრიან მონაკვეთს აკეთებს. უკვე მოხდა გზის დაგვირგობინება და ალბათ უახლოეს დღეებში ასფალტსაც დააგებენ.

რადგან პასუხები დაგვიანდა, სამშაბათ დღით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს მაია ქუტიძეს მივმართეთ:

—ვიცი, საზოგადოების ინტერესი დიდა მომხდარისადმი. წუხს ბაღების გაერთიანება, მშობლები. კიდევ ორი დღე დასჭირდება პასუხებს — გვიპასუხა მაია ქუტიძე.

საარჩევნო პოლიტიკა

# მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები საარჩევნო ბარემოს შესახებ

გაზეთმა „ალიონმა“ უფასოდ საგაზეთო ფართი დაუთმო, გურიის 24-ე მაჟორიტარულ ოლქში რეგისტრირებულ საქართველოს პარლამენტის ყველა მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს. პრეზენტაციები, ბრიფინგები შეუძლებს გაზეთის ვებ-გვერდზე **ALION.GE**, ფეისბუქგვერდზე — გაზეთი „ალიონი“. ამჯერად გთავაზობთ კიდევ 4 კანდიდატის მოსაზრებებს წინასაარჩევნო გარემოს შესახებ.

**დავით მამალაძე** („მალვა



ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია): —წინასაარჩევნო გარემო მძიმე ფონზე, არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს. დამნაშავე კრიმინალური ბანდები პოლიტიკურ პარტიებზე წოდებული, სახელისუფლებო ბანდა მყავს მხედველობაში, ხარკავს უზარმაზარ ფულს. არ დადის დებატებზე, არ ხვდება ხალხს. ისე იქცევიან თითქოს თავი ქულში

პოქნდეთ და გამარჯვება გარანტირებული. ალბად გაყალბების იმედი აქვთ. ღმერთმა ნუ ქნას, არჩევნები რომ გაყალბდეს. ხალხი გამოვა ქუჩაში. ამას შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოყვას. მთელი პოლიტიკური სპექტრი, საზოგადოება გაერთიანებულია იმისთვის, რომ ბანკირები და ოლიგარქები მოსცილდნენ ხელისუფლებას. ხელი-სუფლება ფარულ თამაშებს თამაშობს. ჩვენ პარტიებთან ერთად გვაქვს ხელი მემორანდუმზე მოწერილი, რომლის მიხედვითაც ერთმანეთის ხმები უნდა დავიცვათ. ხელი და ფეხი მიატყდება ყველას, ვინც ქართველი ხალხის ნების უგულვებლყოფას ეცდება.


**ნინო ორაგველიძე**, („ეკა ბესელია“-პ.პ. „სამართლიანობისათ-



ვის):— მშვიდი წინასაარჩევნო გარემოა. კანდიდატებს შორის დამაბულობა არ იგრძნობა. იმედი არჩევნების დღეც მშვიდობიანად ჩაივლის და ხელისუ-

ფლების მხრიდან არ იქნება გაყალბების მცდელობა. ჩვენ აქტიურად ვემზადებით არჩევნებისთვის. ვმთავთ მოსახლეობასთან შეხვედრებს

**მამა მგალობლიშვილი** („მეცვალე საქართველო“):—ჩვენ არ



ვართ დიდი ხნის პარტიამაგრამ იგი ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრებითაა დაკომპლექტებული. სახელიც შემთხვევით არაა შერჩეული „მეცვალე საქართველო“ ამაში, ფაქტიურად ყველაფერია ნათქვამი.

საარჩევნო გარემო უკვე შევიდა დუდილის ფაზაში. ვირუსის გავრცელება რა თქმა უნდა, გვიშლის ხელს. ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად დავიცვათ რეკომენდაციები. რეკომენდაციების დაცვით ჩვენ გვქონდა შეხვედრები, ონლაინ შეხვედრები და საუბრები სტუდენტებთან. ვხვდები სხვა ახალგაზრდებსაც. ჩემი სფერო კულტურაა. ამ მხრივ დიდი

გამოცდილება მაქვს. ჩემი ქვეყნის სახელს 15 წელი ღირსეულად ვიცავდი სახლვრებს გარეთ. ვმუშაობდი თურქეთის რესპუბლიკაში. კავკასიურ კულტურას წარმოვარედი წლების განმავლობაში.

**ლავა ხმეშურიანი** („ლევან ჩიჩუა, გურამ ფალავანდიშვილი-



ქართული იდეა):— მშვიდი წინასაარჩევნო გარემოა. მე არანაირი წინააღმდეგობა არ შემხვედრია. არანაირი ხელისშეშლა არ ყოფილა არც სახელისუფლებო და არც ოპოზიციური კანდიდატების მხრიდან. აქამდე კარგად მოვდივართ, იმედიც ასე გავრძელებ. რა მოხდება არჩევნების დღეს, ამაზე წინასწარ საუბარი ძნელია. გამოირიცხული არაფერი არაა. ჩვენ მაქსიმალურად დავიცავთ ჩვენს ხმებს.

ესაუბრა **მარი კომოვიძე**

## გიორგი სიორიძე: საარჩევნო ადმინისტრაცია გახდა “ქართული ოცნების” დაბრკობული ხელი და ინსტრუმენტი არჩევნებზე მანიპულაციებისთვის



„მოუხდავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი, უნდა აღვნიშნო, რომ მოცემულ ვითარებაში იგი უკვე გახდა „ქართული ოცნების“ დაბრკობული ხელი და ინსტრუმენტი არჩევნებზე სხვადასხვა მანიპულაციისთვის“ — ამის შესახებ 26 ოქტომბერს, სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა „ლელოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა გურიაში **გიორგი სიორიძემ**.

მისი თქმით, დღევანდელი მონაცემებით 12 ათას ადამიანზეა კოვიდინფიცირებული. ასევე ათასობით განისხვავდება ინფიცირებულთა კონტაქტების მქონე და იზოლაციაში მყოფთა რაოდენობა. „ამ ფონზე, საარჩევნო ადმინისტრაცია იღებს დადგენილებას, რომლის თანახმადც დროის არაფორმალურად მცირე მონაკე-ეში, მხოლოდ 24-დან 26 ოქტომბრის ჩათვლით არის შესაძლებელი ამ ადამიანთა გადასატანი ყუთებით მოსარგებლეთა სპეციალურ საიში რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობისთვის.“

ვინაიდან ამ კონტინგენტისთვის ახალი რეგულაცია ცვლის ცალკეულ პრო-

ცედურებს (მაგალითად, მარკირების გაუქმება), ასეთი რეალობა, ქართულ სინამდვილეში, ხდება ხმებით მანიპულირების მაგალი რისკის შემცველი პროცესი. ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აძლევს ხელს. რისკის ქვეშაა საარჩევნო პროცესის ისეთი ორგანიზებული მდგენელები, როგორცაა ფარული, თავისუფალი ნების გამოვლენა, საყოველთაობა“, — აღნიშნა სიორიძემ.

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ხელისუფლების კისერზეა ის, რომ არჩევნების კარგად შეგნებულად მოიხანა აღნიშნული პრობლემა. „ხელისუფლება ვადებულები იყო ამ ვითარების პროგნოზირება მოეხდინა გაზაფხულზევე, როცა ინფექციის გავრცელების შეჩერება და პროცესის დროში გადაადგება პრაქტიკულად სრული ჩაკეტვით მოხერხდა. მაშინვე ცხადია იყო, რომ შემოვლომ ინფექციის გავრცელების მხრივ იქნებოდა მძიმე (ამაზე საუბრობდა თავად მთავრობა) და 31 ოქტომბერი, როგორც საარჩევნო დღე, იქნებოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დასაორგანიზებელი. ამას სჭირდებოდა უმაღლეს საკანონმდებლო თვალსაზრისით

გაზრდა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რაც „ოცნებაში“ არ გააკეთა. დღეს გვაქვს მდგომარეობა, როცა ინფექციის ლამის გეოგრაფიული პროგრესით ზრდის ფონზე, მხოლოდ 19 ოქტომბერს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, საარჩევნო ადმინისტრაცია გამოსცემს დადგენილებას და აძლევს სპეციალური რეგისტრაციის საშუალებას ინფექციის გამო მობილობაზეზღულ პირებს.

ფაქტია ისიც, რომ სადღეისოდ ინფიცირებულთა და იზოლირებულთა მხოლოდ 10 %-ს აქვს რეგისტრაცია გავლილი. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ხელისუფლებას და საარჩევნო ადმინისტრაციას არ უწარმოება შესაბამისი და სათანადო აგრესიული საჭირო საინფორმაციო კამპანია. მორეს მხრივ, სამწუხარო ფაქტია, რომ 27-დან 31 ოქტომბრამდე პერიოდში ჩვენ კიდევ დავგეგმავთ რამდენიმე ათასი კოვიდინფიცირებული და მათთან კონტაქტის გამო იზოლირებულები და ეს ამომრჩევლები, საპარლამენტო არჩევნების მიღმა დარჩებიან“, — განაცხადა გიორგი სიორიძემ.

მან სოლიდარობა და თანადგომა გამოუცხადა „სამოქალაქო პლატფორმა 2020“-ს, რომელმაც ამ დღეს საკონსტიტუციო სარჩლით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა ამ რეგულაციის შეჩერება. „ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ ამ არასამთავრობო ორგანიზაციას და ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, ვინც იბრძვის იმისთვის, რომ ამ საპარლამენტო არჩევნებზე რამდენიმე ათეული ათასი ამომრჩეველი, რომლებიც მობილობის შეუძლებელი უფლების გამო ისედაც მოკლებულნი იქნებიან ხმის მიცემის შესაძლებლობას, საერთოდ არ დარჩნენ საარჩევნო პროცესის მიღმა. „ლელო“ ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ,

რომ ამომრჩეველს მიეცეს თავისი მოქალაქობრივი მოვალეობის სრულფასოვნად შესრულების საშუალება“, — აღნიშნა ბრიფინგზე გიორგი სიორიძემ.

გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე ოზურეთის №60/24 საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ბერდა ლომიძეს** ესაუბრა: —22 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით მმდინარეობს თვითიზოლაციაში მყოფი პირების რეგისტრაცია, რათა მათ, ვისაც სურვილი აქვს, მიიღონ მონაწილეობა ხმის მიცემის პროცედურაში გადასატანი ყუთის მეშვეობით. ამისათვის მათ უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) ცხელ ხაზზე: 0322 51 0051 (შიდა ნომერი 0)

ცესკოს სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრი გამართულად მუშაობს და 25 ოპერატორი დღეს 22 საათამდე დაფიქსირებს მოქალაქეთა მოთხოვნებს, რომლის შემდეგ მათი მონაცემები ოფიციალურად დაფიქსირდება შესაბამისი უწყების მონაცემთა ბაზაში.

ხვლიდან იწყება ერთიანი საარჩევნო სიების ბეჭდვა და დღეს, 22 საათის ჩათვლით თვითიზოლაციაში მყოფი პირების სიაში ვერ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. ხოლო ის პირები, ვინც გადასატანი ყუთზე იქნებიან რეგისტრირებული, ერთიან საარჩევნო საიში მათი გრაფის გასწვრივ იქნება წარწერა „გადაყვანილია საარჩევნო ყუთში.“

26 ოქტომბრის შემდეგ თვითიზოლაციაში მოხვედრილი პირები, ზემოთ თქმული მიზეზების გამო კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ— ვითხოზა ბერდა ლომიძემ.

ცესკომ შემდეგ ეს ვადა, სამშაბათს 14 საათამდე გაავრცელა.

## სვამი ხმის მიმცემთათვის თანამედროვე არითმეტიკა და არჩევნები

თანამედროვე არითმეტიკაში მხოლოდ ოთხი მოქმედება — მიმატება გამოკლება, გამრავლება და გაყოფა არ ისწავლება, არის მეხუთე მოქმედება — შემოხაზვა, რომელსაც, ჩვენებური დემოკრატიის გადამაკ-იდე, ყოველწლიურად ვაბარებთ და ვერც ვაბარებთ. არადა, რა მარტივია! არ ჭირდება დიდი წილაბოდილა: პირაზეული გამოცხადებით საარჩევნო უბანში, აიღებთ ბიულეტენს, შეხვალთ კაბინაში და ერთ-ერთ ციფრს ან რიცხვს (ერთნიშნას ციფრი ეწოდება, ორნიშნასა და მეტს — რიცხვი) თავს ბოლომდე არ მოუფსკენით, ისეთ წრეს შემოავლებთ. თუ გაარტყით და გამოიცანით, „პოკი“, თუ არადა — „პოკი“, ოღონდ უყვინჯოდ, ანუ უპოკიჯოზოდ. სულ ეგ არი!

პოდა, თუ არ გაწყობთ უყვინჯობა, მიდით არჩევნებზე.

ეს რამდენიმე დღეში. მანამდე კი, რა გენაღვლებათ, გადით საშოგარზე ამ გაღვლებულ ქვეყანაში: ფულს შემოგაბლევინ — გამართვით და ჯიბეში ჩაიღვთ; კარტოფილს შემოგთავაზებენ — აიღე, „ფრის“ მაინც მოამზადებთ; პურის ფჭვილს ჩამოგირიგებენ — კოლში გადაუხაზეთ, უკვე ცივა და არ გამწარდება; კომბოსტოც შეიძლება, აი, ხაზვსა და ნიორზე კი, მიუხედავად იმისა, რომ, ამ კოვიდის გადამაკიდე, წინ რთული ზამთარი გველოდება, გირჩევთ, უარი თქვათ, ორივეს სპეციფიკური სუნის აქვს, აგვათ ეგ სუნი და მაშინვე ხმის გამყიდველის იარაღს მოგაკერებენ.

ვის მისცეთ? — ო, მაგი კი არის საკითხავი. ისე, ვისაც გინდათ იმას მიეცით, ვისი რა საქმეა?!

საერთოდ, რომ არავის მისცეთ? — ეგ არ შეიძლება, გამოირიცხულია, დაუშვებელია! მოგაკითხავენ და თავიც რომ მოიმიკვდარუნოთ, მაინც მიგაცემინებენ ვიდაცისთვის... ან სულაც შენს კუთვნილ ბიულეტენზე თავის სასურველ ნომერს შემოხაზავენ, გადაუხაზებენ ურნაში, მერე უყარე კეკალი და იხაზე რამდენიც გინდა, მე არ მიმიციაო...

სვეტის თავში თანამედროვე არითმეტიკის ხუთი მოქმედება გააცანით. მათემატიკის ამ ყველაზე მარტივ დარგს ისეთი პირი უჩანს, მალე დაემატება მეექვსეც — „მოხაზვა“. ასე რომ, თუ არ გინდათ, მოგეხაზოთ, ანუ მეექვსე მოქმედების მსხვერპლი გახდეთ, ჭკუით იყავით და კარგად ისწავლეთ მეხუთე მოქმედება — „შემოხაზვა“.

მე ჩემი გითხარით, თქვენი — თქვენ იცით!

არჩევნების შემდეგ შევხვდებით, ნახვამდის!

კოკა თელია.



# მუზეუმი ბადაისურა, ექვთიმე თაყაიშვილის ხსენების დღე მოკრძალებულად აღნიშნეს



**ალიონი.** 17 თქტომბერს, ექვთიმე თაყაიშვილის ხსენების დღეს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ექვთიმე ღვთისკაცის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში, ღონისძიების ფარგლებში, მხატვრულ-ლიტერატურული საღამო მოეწყო. მუზეუმის დირექტორმა, რუსლან ურუმაძემ 10 წლიანი ანგარიში წარადგინა და ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლზე ისაუბრა. ღონისძიების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ტრადიციულად, წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს.

აღსანიშნავია, რომ ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის მშენებარე ტაძარში, პირველად

წირვა-ლოცვა ჩატარდა. ღონისძიებას ოზურგეთის მერიის წარმომადგენლები, მუზეუმის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ძალიან სასიხარულო სიახლე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სამშენებლო-სარემონტო კომპანია, შპს „იმიჯმა“ სახლ-მუზეუმის შენობა ბერძნული კრამიტით შეცვალა ძველი სახურავი. კრამიტის „გრანადა“ რესურსი 60 წელზეა გათვლილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მუნიციპალიტეტი სახლ-მუზეუმში ძველებური ავეჯის შექმნას გაეგმავს.

24 ნოემბერს მუზეუმის დაარსებიდან 10 წელი სრულდება.

# საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას დაბადების დღე აღინიშნა

22 თქტომბერს საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას დაბადების დღეა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ და ომის ვეტერანებმა ყვავილების გვირგვინებით შეამკეს ეროვნული გმირის საფლავი.

— ზაზას ბავშვობიდან ვიცნობდი. ერთად დავდიოდით ცეკვაზე ანზორ გვარამაძის ქორეოგრაფიულ ჯგუფში. მისი გმირობა სამაგალითოა. პატივს მივაგებთ მის ხსოვნას — თქვა კონსტანტინე შარაშენიძემ.

საქართველოს ეროვნული გმირი, ზაზა დამენია 1972 წლის 22 თქტომბერს, ქალაქ ოზურგეთში დაიბადა. 1990-1992 წლებში იგი ყაზანის სამშენებლო ინსტიტუტში სწავლობდა. 2003 წელს, დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალი, სამრეწველო სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

ზაზა დამენია, 1992 წლიდან, საქართველოს შეიარაღებული ძალების სადაზვერუო ბატალიონში მსახურობდა. 1993 წელს აფხაზეთში იბრძოდა. 1995 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსის თანამდებობა ეკავა. 2002 წლიდან, ზაზა დამენიამ სამხედრო სამსახური მე-11 მექანიზებული ბრიგადის მსუბუქი ქვეითი ბატალიონი „კომანდოს“ რიგებში გააგრძელა.

2004 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყებასთან ერთად, „კომანდოს“ ბატალიონი, კონფლიქტის ზონაში, ქართული სოფლების



დასაცავად გაიგზავნა. მოწინააღმდეგესთან შეიარაღებული დაპირისპირებების დროს, ქართულმა მხარემ 16 მეტრიძლი დაკარგა, რომელთა შორის იყო ზაზა დამენია. 2004 წლის 16 აგვისტოს, ზაზა დამენიამ, საკუთარი სიცოცხლის ფასად, თანამებრძოლები დაუპყვას გადაარჩინა. კაპრალი სანგარში ჩავარდნილ ხელუქმბარას სხეულით გადაეფარა და სამი ჯარისკაცი გარდაუკალი სიკვდილისგან იხსნა.

დაღუპვამდე ორი დღით ადრე, დამენიას ჭურვის აფეთქების შედეგად მხედველობა დაუქვეითდა, თუმცა კაპრალმა უარი განაცხადა პოზიციის დატოვებაზე და ბოლომდე დარჩა თანამებრძოლების გვერდით, ბრძოლის ველზე.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის, 2004 წლის 24 აგვისტოს, ზაზა დამენიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

# სპორტული კატიოსნება ანუ ქართული ხასიათი



გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გადაღებულ ერთ გავითვლებულ ფოტოზე ამე წლების საუკეთესო მოჭიდავეთა ქართული თანავარსკვლავედია აღბეჭდილი. ვახტანგ ბალაყაძე, გიორგი სხირტლაძე, მირიან ცალქამანიძე, გივი კარტოზია, რომან ძნელაძე და ავთანდილ ქორიძე. როცა ეს ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები ამ სურათს იღებდნენ, ალბათ არც ფიქრობდნენ იმაზე, რომ მათ ფოტოს ფასი დაედებოდა და ისტორიული მნიშვნელობის განხდებოდა. ამიტომ სურათზე აღბეჭდილი ვარსკვლავები დაუდევრად პოზირებენ და ოხუნჯობენ, მათ შორისაა რომან ძნელაძე.

რომან მიხეილის ძე ძნელაძე დაიბადა 1933 წლის 1 სექტემბერს სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1949 წელს ხუთი წლის განმავლობაში (1950-1955) იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებში, იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საკავშირო სახალხო სპორტკადაის ოქროს მედალოსანი, სპორტის ოსტატი,

უმალღესი განათლებით. იგი მონაწილეობდა მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ქვემსუბუქ წონაში იასპარეზა (62 კგ). ყოველ ოლიმპიურ თამაშებს გამორჩეული გმირი ჰყავს, ასეთი გამორჩევისათვის სულაც არაა აუცილებელი სხვაზე ბევრი მედლის მოპოვება, არც ჩემპიონობა აუცილებელი.

მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებში მსუბუქი წონის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ბოლო ორთაბრძოლაში ერთმანეთს რომან ძნელაძე და უნგრელი იმრე პოიკო დაუპირისპირდნენ, საქმის ვითარება ასეთი იყო. წინა შეხვედრებში საჯარო ქულების მიხედვით საქმე ისე უცნაურად შეტრიალდა, თუ ქართველი გაიმარჯვებდა ჩემპიონი გახდებოდა, თუ რომანი წააგებდა ოქრო მანამდე მის მიერ ძლეული ფინელი რუნი მიაკენის კუთვნილება ხდებოდა, ძნელაძეს კი „ბრინჯაო“ ერგებოდა, თუ ძნელაძე წმინდად დამარცხდებოდა, მას ვერცხლი შეხვდებოდა, ჩემპიონი უნგრელი გახდებოდა. ყველა ვარაუდობდა, რომ ყოველივე

სწორედ ამ უკანასკნელი სცენარით წარმართებოდა სათუო გამარჯვების და ოქროს მედლის და მასთან ერთად წმინდა დამარცხებით გარანტირებული ვერცხლი სჯობდა, ეს სცენარი მით უფრო სავარაუდო იყო, რომანს მხარი ჰქონდა დასაყვებელი, რაც სრული ძალით ჭიდაობის საშუალებას არ აძლევდა, ეს იცოდა ყველამ, იმრე პოიკის ქომაგებმაც. ფინელი ფალაგნების გულშემატკივრებმაც. ამ უცნაური შემთხვევის შესახებ ბევრს წერდნენ ავსტრალიის გაზეთებში, პრესის წარმომადგენლები დარწმუნებული იყვნენ, რომ პირველობის ბედი წინდაწინ იყო გადაწყვეტილი. მათ ღრმად სწამდათ, რომ იგი ძნელაძის სასარგებლოდ არ წარმართებოდა, იგი მალე დანებდებოდა მოწინააღმდეგეს, დაწვებოდა ხალიჩაზე, რადგან ჯერ ერთი, მსჯელობდნენ ისინი, დაწოლა უფრო იოლია, მეორე კი ბრინჯაოს მედალს ვერცხლის მედალი ჯობდა.

დაიწყო ორთაბრძოლა, ძლიერ იყო რომანის მოწინააღმდეგე ( პოიკის გასულ წელს მეორედ ჰქონდა მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობა) რა ქნას? დანებდეს უბრძოლველად, დაწვეს ბეჭებზე და ვერცხლის მედალი მიიღოს, თუ იბრძოლოს, გაიჭირვოს, როგორ გაუძლოს ბოლომდე?

გადაწყვეტილება ერთადერთი და ვაჟკაცური იყო. რომანი არ დანებდა, უნგრელმა ვერ შეძლო მისი ბეჭებზე დაწვევა, სუფთა გამარჯვებამდე რომან ძნელაძემ დაძაბულ ბრძოლაში ქულებით წააგო და მესამე ადგილზე გავიდა.

რომან ძნელაძე გამარჯვებამდე ბოლომდე იბრძოდა, პოიკმა მისი დასაყვებელი მხრის ამბავი იცოდა, სულ მტკივნეულ ადგილას ევაჯგურებოდა, რაკი უნგრელი წმინდად მაინც ვერ იმარჯვებდა, ყველა ფიქრობდა, რომ შესვენების ბოლო წამებზე მეტოქეს დაუწვევებოდა, ძნელაძემ ვერცხლის ამგვარ მოპოვებას ქულებით წააგება და ბრინჯაოს მედალი ამჯობინა.

რომანს შეეძლო იოლი გზა აერჩია და

ვერცხლის მედალი ჩამოეტანა შინ, მაგრამ მან სწორედ ამიტომ აირჩია ეს გზა, რადგან იგი იოლი და არაკეთილსინდისიერ გზა იყო.

სინდისი სპორტისთვის ყველაზა დიდი მსაჯია.

მთელ ამ ისტორიაში კუროთხული შეჯიბრების წესები იყო, ხოლო რომანის საქციელი რაღა თქმა უნდა რაინდული იყო, აი სწორედ ამ რაინდობის გამო რომან ძნელაძე მელბურნის თამაშების გმირად იქცა.

რომან ძნელაძემ დაძაბულ ბრძოლაში ქულებით წააგო და მესამე ადგილზე გავიდა. უნდა გენახათ მაყურებელმა რა ამბით გააცილა დარბაზიდან ჩვენი ფალაგანი, ავსტრალიელთა თვალში იგი იყო ნამდვილი რაინდი, განსაკუთრებული აღფთოვანებული იყვნენ ფინელები, ძნელაძის კეთილსინდისიერბამ და სპორტულმა ფინმა ხომ ჩემპიონობა მისცა მათ თანამემამულეს.

როცა ქართველისა და უნგრელის ორთაბრძოლა დასრულდა, როცა გაირკვა ჩემპიონის ვინაობა, სიხარულით გაგიჟებულმა ფინელებმა თავიანთი თანამემამულე კი არა, რომან ძნელაძე შეისვეს მხრებზე და ამგვარად საპატიო წრე შემოარბენინეს (ავთანდილ გურასაშვილი 2004).

რომანი უმამოდ გაიზარდა, სულ პატარა იყო, როდესაც გამოძიებული მიხეილ ძნელაძე ხოჯეევანქების ბაღში, ქურდებმა იმსხვერპლეს 1949 წელს. ობლობაში გაიზარდა რომანის შვილებიც, როცა იგი დაიღუპა 1966 წელს გაჟიშვილი შვიდი წლის იყო, ხოლო გოგონა კი მხოლოდ ექვსის. ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ განუყვრელი მეგობრები რომან ძნელაძე და მასავით ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ავთანდილ ქორიძე.

ლევან ძნელაძე, მანანა ლომაძე

# ოზურგეთის თოჯინების თეატრი ქალაქის მერიის ძველ შენობას ახალ სიცოცხლეს აქვებს



**ალიონი.** მას შემდეგ რაც ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით სარემონტო სამუშაოები დაწყდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მსახიობთა თეატრმა ქალაქის მერიის ძველ შენობაში დაიწყო მუშაობა. მათ სახელდახელოდ მოაწყო პატარა დარბაზი შესაბამისი სცენით და ოზურგეთელებს უფასო სპექტაკლს სთავაზობდნენ უფასო სპექტაკლს. იმავდროულად გასვლით სპექტაკლებს ატარებდნენ სკოლებში და

სხვა საბავშვო დაწესებულებებში. არაერთი ახალი პრემიერა შესთავაზეს ნორჩ მსახიობებს და რაც მთავარია, წელს, სექტემბრის დასაწყისში წარმატებით გამოვიდნენ ქობულეთის თეატრალურ ფესტივალზე მზიანი საქართველო. ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდ მსახიობთა თეატრის მიერ წარდგენილმა საკონკურსო სპექტაკლმა, ნინო ანთიძის „მუჭანახე ვარა“ (რეჟისორი ბაინაზიშვილი დადგამა) ოზურგეთელებს ფესტივალის მთავარი ჯილდო – გრან პრი მოუტანა. ოზურგეთელებმა გაიმარჯვეს ისეთ ძლიერ კოლექტივებს შორის, როგორცაა ახალციხის სახელმწიფო თეატრი, ქუთაისის, ჭიათურის, ბოლნისის, ზესტაფონის, გურჯაანის, ველისციხის, ხელვაჩაურის და ახალქალაქის სომხური თეატრი. გარდა ამისა სპექტაკლის რეჟისორმა, მხატვარმა, მუსიკის ავტორმა და კიდევ 6 მსახიობმა სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს. პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში, როცა გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, თეატრის თანამშრომლებმა თავიანთი ხელფასიდან თანხები შეკრიბეს და 12 ოჯახს შეუძინეს საკვები პროდუქტები და პანდემიის თვდასაცავი საშუალებები. ახლა კი, ძველი ისტორიული შენობის განახლებას შეუდგნენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით მათ ბენზინის ხარჯისა და სხვა დანაზოგით, თავიანთი ფიზიკური მონაწილეობით დაიწყეს მერიის შენობის ყოფილი სააქტო დარბაზის სარემონტო სამუშაოები და საქმეს ისეთი პირი უჭანს, რომ ქალაქს კიდევ ერთი ლამაზი თეატრალური დარბაზი ექნება, 50 სკამზე გათვლილი ფართით და კიდევ მრავალ პრემიერას იხილავს ოზურგეთელი მსახიობები.

## სამგლოვიარო განცხადებები



გაზეთი „ალიონი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პოეტ **მალხაზ თორიძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი და ამ კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაცია იუწყება ქართული პოეზიის დიდი ოჯახის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, ქალბატონი **მალხაზ თორიძის** გარდაცვალებას.

## სკანვორდი




										აზოგის ფორმა			
		უდიდესი მდინარე ამერიკაში	ერთგვარი კლე							თხელი გარსი	სასწორის ჯამი		
		გადასახლე				ფრინველთა წრიული ფრენა							
		ქართული ფული						პირველი სამნიშნა რიცხვი					
						მონღოლთა ბეგარა				სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი		ხორთუმიანი ცხოველი	
												სულხან-საბას სიმამრი	
						შანღალი							„ნაციონალისტ“ მხარდამჭერი ორგანიზაცია
		სამკურნალო მცენარე	მამაკაცის სახელი										
		სოფელი სვანეთში	სამაგილო თამაში			თმის ბუნებრივი საღებავი	ძირი, ფსკერი					ერთგვარი ფეხსაცმელი	არენდა
						ქალის სახელი				ხალხური ღვინოსა			
		მთავარი პრიმი				მცენარე							ქართული ტექვა
						ბერძნული საფეხბურთო კლუბი				წყნარი მდინარე რუსეთში	ლომის სამომი		
		ქალის სახელი				სახელმწიფო აფრიკაში				მექსიკური ტომი			ავტორიტეტი

### პასუხები:

აზოგის ფორმა – თხელი გარსი; უდიდესი მდინარე ამერიკაში – მდინარე მისისიპი; ერთგვარი კლე – მარცხენა; გადასახლე – მცენარე; ქართული ფული – ლარი; მონღოლთა ბეგარა – მონღოლთა ბეგარა; სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი – მთავარი; ხორთუმიანი ცხოველი – ხორთუმიანი ცხოველი; სულხან-საბას სიმამრი – სულხან-საბას სიმამრი; „ნაციონალისტ“ მხარდამჭერი ორგანიზაცია – ნაციონალისტური მოძრაობა; სამკურნალო მცენარე – მცენარე; მამაკაცის სახელი – მამაკაცის სახელი; სოფელი სვანეთში – სოფელი სვანეთში; სამაგილო თამაში – სამაგილო თამაში; თმის ბუნებრივი საღებავი – თმის ბუნებრივი საღებავი; ძირი, ფსკერი – ძირი, ფსკერი; ქალის სახელი – ქალის სახელი; ხალხური ღვინოსა – ხალხური ღვინოსა; მთავარი პრიმი – მთავარი პრიმი; მცენარე – მცენარე; ბერძნული საფეხბურთო კლუბი – ბერძნული საფეხბურთო კლუბი; წყნარი მდინარე რუსეთში – ვოლგა; ლომის სამომი – ლომის სამომი; ქალის სახელი – ქალის სახელი; სახელმწიფო აფრიკაში – სახელმწიფო აფრიკაში; მექსიკური ტომი – მექსიკური ტომი; ავტორიტეტი – ავტორიტეტი.

# მრეწველობის განვითარება საქართველოში

## იხმელება მასკალსური უზღუდები



**1. ხელოსნობა.** მანქანური წარმოების განვითარების პირობებში საქართველოში ხელოსნობა არ გამქრალა. ხელოსნური პროდუქცია კვლავ გადიოდა ბაზარზე. მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობდა ისეთ პროდუქციასზე, როგორც იყო: მონუქურთმებული ავეჯი, ხმალი, ხანჯალი, ყანწი, მასრა, ტიკი და სხვ. ფაბრიკულ ნაწარმთან კონკურენციის წყალობით თითქმის მთლიანად მოიხსოვრებოდა ხელოსნობის სახეობები, სახანის სახარში, მათგან რეზინი, სამკაულები, უნაგირებისა და სანთლის დამამზადებელი სახელოსნოები. სახელოსნოებში დამამზადებელი ხისა და თიხის ჭურჭელი ქარხნულად შექმნილმა ფაბრიკისა და მინის ჭურჭელმა შეცვალა. შემცირდა იმ სახელოსნოების რიცხვი, რომელიც ტყავის გადამამუშავებითა და ფესხაკმლის კერით იყო დაკავებული. საინტერესოა სტატისტიკური მასალა, რომელიც თბილისის გუბერნიაში ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა რაოდენობის ცვლას ასახავს:

**1. 1892 წელი.** ოსტატი – 4.358, ქარგალი – 441, შეგირდი – 3.081 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 7.880);

**2. 1893 წელი.** ოსტატი – 2.010, ქარგალი – 1.942, შეგირდი – 1.218 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 5.170);

**3. 1894 წელი.** ოსტატი – 2.340, ქარგალი – 1.849, შეგირდი – 1.280 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 5.469);

**4. 1903 წელი.** ოსტატი – 4.628, ქარგალი – 3.952, შეგირდი – 4.094 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 12.672);

**5. 1910 წელი.** ოსტატი – 4.662, ქარგალი – 4.360, შეგირდი – 3.325 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 12.347);

**6. 1912 წელი.** ოსტატი – 2.750, ქარგალი – 3.678, შეგირდი – 2.503 (ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო რაოდენობა – 8.931);

1896 წელს თბილისის გუბერნიაში სულ 18.976 ხელოსანი (8.384 ოსტატი, 3.965 ქარგალი, 6.627 შეგირდი) იყო. აქედან ოსფლებში 8.396 ხელოსანი (4.130 ოსტატი, 865 ქარგალი, 3.403 შეგირდი) მუშაობდა. 1900 წლის აღწერის დროს თბილისში 439 „კაპიტალისტური სახელოსნო“ აღრიცხეს, რომლებშიც 1.863 მუშა იყო დასაქმებული (თითოეულ სახელოსნოზე 2-8 მუშა მოდიოდა). ამ სახელოსნოებს 1900 წელს 2.098.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. აღწერის მასალებიდან დგინდება, რომ 439 „კაპიტალისტური სახელო-

სნოდან“ 211 სახელოსნო ახლად გახსნილი ყოფილა, რომლებშიც 627 მუშა იყო დასაქმებული. ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მასალა უზუსტობებისაგან არ რის დაზღვეული. აღწერისას ზოგჯერ სახელოსნოებს მიაკუთვნებდნენ უამრავ სავაჭრო ღუქანსა და ფარდულს, ზოგჯერც ნამდვილ სახელოსნოს არ აღრიცხავდნენ.

1900-1903 წლებში ხელოსნობის ერთგვარი გამოცოცხლება დაკავშირებულია ზემოთ ხსენებულ ეკონომიკურ კრიზისთან, რამაც ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების შემცირება გამოიწვია. 1903 წელთან შედარებით, 1912 წლისათვის თბილისის გუბერნიაში ხელოსანთა რიცხვი 12.672 ხელოსნიდან 8.931 ხელოსნამდე შემცირდა. ეს ტენდენცია გაგრძელდა შემდეგ წლებშიც.

**2. წვრილი კაპიტალისტური წარმოება და მანუფაქტურა.** XX საუკუნის დამდეგისათვის წვრილ კაპიტალისტურ წარმოებასა და მანუფაქტურას სულ უფრო და უფრო ავიწროებდა საფაბრიკო-საქარხნო წარმოება. 1902 წელს საქართველოში 1.340 წვრილი კაპიტალისტური საწარმო იყო აღრიცხული, რომლებშიც 7.400 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქციის რაოდენობა 3.800.000 მანეთს უდრიდა. 1913 წელს აღრიცხული იყო 1.200 წვრილი კაპიტალისტური საწარმო 7.500 მუშითა და 3.900.000 მანეთის წლიური პროდუქციით. ასე რომ, წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში მანუფაქტურული ხასიათის საწარმოებიც არსებობდა. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა: ზოგიერთი ლითონდამამუშავებელი, აგურის, კრამიტის, ავეჯის, კასრების, ფანერის, ტანსაცმლის, თამბაქოსა და სხვა პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები. მანუფაქტურული საწარმოები მრავლად შემორჩა სამთამადნო მრეწველობის რიგ დარგებში. მუშახელის რიცხვის სიდიდით გამოირჩეოდნენ ნავთობის საექსპორტო კასრების დამამზადებელი მანუფაქტურები ბათუმში, აგრეთვე ზოგიერთი საზეინკლო, სადურგლო და ეტლების შექმნის საწარმოები თბილისში.

1902 წლისათვის საქართველოს გადამამუშავებელ მრეწველობაში 45 მანუფაქტურა ითვლებოდა, რომლებშიც 800 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქცია 1.100.000 მანეთს უდრიდა. 1913 წელს აღრიცხულ 40 მანუფაქტურაში 1.000-მდე მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქცია 1.300.000 მანეთს უდრიდა. როგორც ვხედავთ, მანუფაქტურების რაოდენობა ხუთით შემცირდა, მაგრამ მუშების რაოდენობა გაიზარდა (1.000 მუშა), გაიზარდა წლიური

პროდუქციის რაოდენობაც (1.30-0.000 მანეთი).

**3. მექანიკური სახელოსნოები და ქარხნები.** XIX საუკუნის პირველ სამეოთხედში ამიერკავკასიის ქალაქთა შორის ყველაზე სწრაფი ტემპით თბილისი ვითარდებოდა. თბილისი არა მარტო მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ცხოვრების ცენტრსაც წარმოადგენდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთის ჯარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა მექანიკური სახელოსნოების დაარსება. XIX საუკუნის დამდეგიდან სამხედრო უწყების შეკვეთით დაარსებული მექანიკური სახელოსნოები სამხედრო შეიარაღების შეკეთებაზე მუშაობდა. თბილისის პირველი კერძო მექანიკური ქარხანა, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-დანადგარებით იყო აღჭურვილი, 1851 წელს გახსნა უცხოელმა შტუსემ. იმავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამომსხმელი პირველი ქარხანა. თუჯი და რკინა, რომელთა გადამამუშავებას ეს ქარხნები აწარმოებდნენ, რუსეთიდან შემოჰქონდათ. 1860 წელს ინგლისელმა რუქსმა თბილისში მსხვილი მექანიკური ქარხანა გახსნა. რუქსმა 1887 წელს თუჯაჩამომსხმელი საამქროც ააშენა, მალე გაიხსნა კიდევ რამდენიმე მექანიკური სახელოსნო. 1869-1882 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის საკანძო სადგურებზე: თბილისში, ხაშურში, სამტრედიასა და ფოთში – გაიხსნა მექანიკური სახელოსნოები. თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს ჰქონდა რკინისა და თუჯის ჩამოსასხმელი საამქრო. ზემოთ ხსენებული სახელოსნოები მხოლოდ რკინიგზის შეკეთებზე მუშაობდნენ, მაგრამ შეკვეთები იმდენად დიდი იყო, რომ სამუშაოს ვერ აუდიოდნენ. ამის გამო რკინიგზისაგან შეკვეთებს ღებულობდნენ ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ ბაქოს მექანიკური ქარხნები.

ამიერკავკასიის რკინიგზის ამოქმედების შემდეგ მეტად საგრძნობი გახდა თუჯის ნაკეთობათა დეფიციტი. 1881 წელს თბილისში გაიხსნა თუჯასასხმელი ქარხანა, რომელიც მალე **რ. რენკისტის** საკუთრებაში გადავიდა. ქარხანას გააჩნდა ძლიერი ლოკომობილი, 1 ბრძმელი, 3 სახარატო დაზგა, 2 ვენტელატორი, 1 ხრახნმჭრელი, 1 სარანდავი და რამდენიმე მექანიკური დაზგა. რენკისტის ქარხანა პირველ ხანებში უცხოეთიდან შემოტანილი თუჯის გადამამუშავებას ეწეოდა, მაგრამ 2 წლის შემდეგ რუსეთის ნედლეულზე გადავიდა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქარხანა წლიურად 10-000-20.000 ფუთი თუჯისა და 5.000-10.000 ფუთი რკინის სხვადასხვა ნაკეთობას უშვებდა და ძირითადად ამიერკავკასიის რკინიგზის შეკვეთებზე მუშაობდა. ამ პერიოდში ქარხნის წლიური პროდუქცია 70.000-150.000 მანეთს უდრიდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში კიდევ გაიხსნა 2 მექანიკური და თუჯასასხმელი სარეწავი. ყველაზე მსხვილი კი ამ პერიოდში ისევ რენკისტის ქარხანა იყო, რომელშიც დაახლოებით 120 მუშა იყო დასაქმებული. მუშათა მესამედი მცირეწლოვანი იყო, ხოლო წმინდა სამუშაო დრო 10,5 საათს უდრიდა. 1900 წლისათვის თბილისში ათიოდე მექანიკური და თუჯასასხმელი ქარხანა მუშაობდა,

რომელთაგან მხოლოდ ორი, რენკისტისა და იარალოვისა, იყო დიდი სიმძლავრისა, დანარჩენი ქარხნები წვრილ საწარმოებს წარმოადგენდნენ, სადაც 5-10 მუშა იყო დასაქმებული.

**4. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები.** ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და XX საუკუნის დამდეგს დასრულდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალიზმის განვითარებას. სარკინიგზო ქსელის გაფართოებას და გზის ექსპლუატაციის გაძლიერებას მოჰყვა მისი მომსახურე საწარმოების დაარსება და გაფართოება. ამიერკავკასიის რკინიგზა და მასთან დაკავშირებული საწარმოები ტიპურ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში რკინიგზის პირველი სახელოსნო გაიხსნა სადგურ მიხაილოვოში (ხაშურში). 1883 წელს სახელოსნო თბილისში გადმოიტანეს. 1889 წელს კერძო კონცესიონერთა მიერ გაყვანილი ამიერკავკასიის რკინიგზა სახელმწიფომ გამოისყიდა, სახელმწიფოს ხელში გადავიდა რკინიგზის დამამზადებელი საწარმოებიც. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებთან ერთად მუშაობდა თბილისის დეპოსთან არსებული სახაზო სახელოსნოები. დეპოები შექმნილი იყო აგრეთვე ხაშურში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიასში, ყვირილასა (ზესტაფონსა) და ბორჯომში. რკინიგზის დეპოები და სახელოსნოები ეწეოდნენ რკინიგზის მომრავი შემადგენლობის (ორთქლმავლებისა და ვაგონების) შეკეთებას. სერიოზულ სარემონტო სამუშაოებს მხოლოდ ამიერკავკასიის თბილისის მთავარი სახელოსნოები ასრულებდნენ, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს – დეპოები. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოს თავდაპირველად გააჩნდა შემდეგი განყოფილებები: ორთქლმავლის ამწყობი, საქვაბე, სახარატო, ლითონჩამომსხმელი და სამჭედლო სახელოსნოები, ხოლო შემდეგ ამათ მიემატა სავაგონო, სამეგრეო და სადურგლო. სულ ამ საწარმოში 8 საამქრო იყო, რომლებშიც 56 სხვადასხვა ხელოსნის მუშა საქმიანობდა. 1900 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში 260 დაზგა მუშაობდა, 1901 წელს – 272, 1908 წელს – 340, 1913 წელს – 450 დაზგა. 1880 წელს საწარმოში 1.000 მუშა იყო დასაქმებული, 1900 წელს – 2.550, 1904 წელს – 3.000, 1909 წელს – 3.500, 1913 წელს – 3.760 მუშა. 1880 წელს გაბომუშავებული იქნა 1.000.000 მანეთის პროდუქცია, 1900 წელს – 2.700.000 მანეთისა, 1904 წელს – 4.200.000 მანეთისა, 1913 წელს – 5.840.000 მანეთისა. როგორც ვხედავთ, მუშათა რიცხვი 1900 წლიდან 1913 წლამდე 35,5%-ით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის წლიური რაოდენობა – 81,5%-ით.

**5. ნავთობის საექსპორტო საწარმოები ბათუმში.** ბაქოს ნავთობის საექსპორტო ნავსადგური ბათუმი იყო. ამან გამოიწვია ბათუმის დიდ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრად გადაქცევა. ბათუმის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან დაკავშირებამ ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტში უცხოური კაპიტალის წილი გაზარდა. ადგილობრივ და უცხოელ კაპიტალისტებს არასაკმარისად მიაჩნდათ ბაქო-თბილისი-სამტრედიის-ბათუმის რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობა, რის გამოც მალე დაიწყო ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანის საკითხი. 1897 წელს დაწყებული სამუშაოები ძირითადად 1900 წლისათვის დასრულდა, ხოლო 1906 წლიდან ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი სრული დატვირთვით ამუშავდა. ნავთობსადენის წლიური გამტარუნარიანობა 60.000.000 ფუთს უდრიდა.

ბაქოს ნავთობის დიდი ნაწილი უცხოეთის სახელმწიფოებში ექსპორტისათვის იყო განკუთვნილი, შედარებით მცირე ნაწილი იგზავნებოდა რუსეთში. 1900-1913 წლებში ბათუმიდან 448.700.000 ფუთი ნავთობი იქნა გატანილი, აქედან გემებზე არსებული ცისტერნებით გაიტანეს 309.079.627 ფუთი (68,9%), თუნუქის ბიდონებით – 139.620.373 ფუთი (31,3%). ყველაზე მეტი ნავთობი ბათუმიდან 1903 წელს გაიტანეს. შემდეგში, განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციის წლებში, ნავთობის ექსპორტი შემცირდა.

ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მრეწველობის ამ დარგმა განსაკუთრებით დიდ მასშტაბს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია. ბათუმში არსებული ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები თუნუქის ბიდონებსა და ხის ყუთებს აკეთებდნენ, საჭირო მასალა რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ბათუმიდან ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები 1896-1899 წლებში დღემდე საშუალოდ მოიხმარდნენ: 477 კუბურ საყენ ფიცარს, 5.539 ფუთ თუნუქს, 3.171 გირვანქა ტყვიას, 15.539 გირვანქა ლურსმანს, 4.576 გირვანქა თუთიას, 2.061 გირვანქა მარილმჟავას და სხვ. ამ მასალას რუსეთიდან და უცხოეთიდან იწერდნენ და იმავე გემებით შემოჰქონდათ, რომლებითაც ნავთობი გაჰქონდათ.

1901 წლისათვის ბათუმში მოქმედებდა ნავთობის ჭურჭლის დამამზადებელი 9 ქარხანა, რომლებსაც თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების საამქროები ჰქონდათ. ეს საწარმოები როტმილდს, რიპნერს, მანთაშევს, სიდერიდის, ცოვაიანოვს, გრამატიკოპოლოს, ხაჩატრიანცს, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკს და სხვა კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. 1903 წლისათვის ბათუმში დარჩა მხოლოდ 5 ქარხანა, რომელთა მოწყობილობა და ნედლეულის მარაგი 12.500.000 მანეთად იყო შეფასებული. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება კონცენტრირებული იქნა როტმილდის, მანთაშევსა და ნობელის ფირმათა ხელში. ხაჩატრიანისა და სიდერიდისის ქარხნები მთლიანად ნობელის დაკვეთით მუშაობდა. 1904 წლისათვის ბათუმის მხოლოდ 4 ქარხანაში 4.031 მუშა იყო დასაქმებული: მანთაშევს ქარხანაში – 1.762 (43%), როტმილდის ქარხანაში – 1.500 (37,3%), ხაჩატრიანცის ქარხანაში – 466 (11,5%), სიდერიდისის ქარხანაში – 325 (8%).

### მასტანო გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918, ტ.3, გვ.111-114)

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# ოზურბეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარულ ოლქში კ/მ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეკლარაციის კანდიდატი

## შოთა გოგიბერიძე

**შოთა გოგიბერიძე**  
საარჩევნო ოლქი № 24  
ოზურგეთი ლანჩხუთი ჩოხატაური  
31 ოქტომბერს შემოხაზეთ

დავით თარხან-მოურავი ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

შოთა გურამის ძე გოგიბერიძე დაიბადა 1966 წლის 16 მარტს. 1982 წელს დაამთავრა დაბა ურეკის საშუალო სკოლა.

1991 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1992 წელს იყო ოზურგეთის რაიონული გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი.

1993 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეობდა.

1995 წელს მუშაობდა გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მამულთა კორპუსისა და სამართალდაცავი ორგანოების კოორდინაციის სამსახურის უფროსად.

1996 წელს დაინიშნა გურიის საოლქო პროკურორის თანამშემდგომად.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნა ოზურგეთის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ.

1999-2007 წ.წ. – გურიის სამხარეო ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი.

2009-2014 წ.წ.-პ/მ „ეროვნული ფორუმის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2016 წლის სექტემბრიდან –პ/მ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

**ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ჩვენი რწმენა, ჩვენი ტრადიცია, ჩვენი ადამიანური ღირსეობა. ჩვენ უნდა დავრჩეთ ქართველებად და უნდა ვიყოთ მტკიცენი ჩვენი ცხოვრების ფუნდამენტში.**

## ქოზენული იდეოლოგია


სააკაშვილის რეჟიმმა დააზიანა ჩვენი საზოგადოება. გახლჩინა იგი, ბზარი გააჩინა ეროვნულ ცნობიერებაში.

სააკაშვილმა ასპარეზი გაუხსნა ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ გადააფასონ ქართველი გმირების ღვაწლი. ცდილობენ დააკნინონ ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვებები! ეჭვქვეშ აყენებენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს!

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს შვილებში სულდგმულობდნენ; დავით და კონსტანტინე არაგველები, ცოტნე დადიანი, გიორგი სააკაძე, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, მერაბ კოსტავა... ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს შვილებში ქართველი გმირები სულდგმულობდნენ!

## 45 წელიწადი ოზურბეთის თეატრში

## ჯემალ კეჭაყმაძე -80



**ჯემალ კეჭაყმაძის** მსახიობის, მომღერალის, საზოგადო მოღვაწის, გურიის ჭადრაკის ფედერაციისა და მწერალთა კავშირის წევრის, აფხაზეთის ომის ვეტერანის, ქველმოქმედ ადამიანს ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. მისი ტიტულების მრავალფეროვანი ჩამონათვალი მიუთითებს მის მიერ განვლილ გზაზე, პიროვნებაზე, შემოქმედების მამულებზე. მან თითქმის მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ქართული თეატრის სცენაზე, არის თეატრის კოლორიტული ანსამბლის წევრი.

დიდი სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ ამ თარიღის ასე ლამაზად დახვედრას და სამომავლოდ კვლავ წარმატებას და ბედნიერებას ვუსურვებთ.

ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **პასო ჩიბოძემ**, თეატრის დირექტორი **ზაზა ჯინჭარამი**.

სცენაზე გასვლის წინ პულსი უნდა ავიჩქარდეს – ასე ამბობს მსახიობი თეატრ კვირკველია, რომელსაც 19 ოქტომბერს 70 წელი შეუსრულდა. ამ წლებს ამშვენებს მსახიობის განვლილი გზა, მოპოვებული ავტორიტეტი და სიყვარული. ცხოვრების ნახევარზე მეტი მან ოზურგეთის თეატრთან ერთად გაატარა, თეატრის „ოქროს ხანა“ 80-იან წლებში, 90-იანების მძიმე პერიოდში – გაყინული, მიზერიული ხელფასები, გათიშული შენობის სუსტი, დღევანდელი, რეაბილიტირებული, ზღაპრული გარემო, სადაც პირვანდელი გულსიყვრით და პასუხისმგებლობით ქმნის ახალ სახეებს – ასე გაილა თეატრისა და თეატრ კვირკველიას ცხოვრების 45 წელიწადი.

**თეატრ კვირკველია:** „– ოზურგეთის თეატრში ვმუშაობ 46-ე წელიწადია. 1971-73 წლებში მსწავლობდი სერგო ზაქარაიძის სახელობის კულტურა-აგანმანათლებლო სასწავლებელში თეატრალური რეჟისურის განხრით. ორი წელიწადი სიღნაღის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვიყავი და 1975 წლიდან ოზურგეთის თეატრში ვარ. მასხოვს ჩემი დებუტი, მთავარი როლი ვითამაშე სპექტაკლში „სიყვარულის ძალა“ (რეჟისორი ი. ასლაძე) ოზურგეთის თეატრის კორიფეჟებთან – რომან ლომინაძესთან, მიშა წიგნაძესთან, ვლადიმერ ბაგელაძესთან, დამარა თურმანიძესთან და სხვებთან ერთად. მასხოვს მრავალი როლი, გასტროლი, მთავარი თუ ეპიზოდური სახეები. ზოგი პერსონაჟი ჩემთვის გამორჩეულია: მოხუცი მზატვარი („მხე“; რ. ტომბ, ვ. ჩიგოვძე), დათიკო (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ შენს“, სპექტაკლი ვივი ანბუტელმა ადვანა), სანდრო („მეფე ღირი თავშესაფარში“ ო. ბაღათურია, ო. კულაძე), რომელმაც მამაკაცის როლის საუკეთესოდ შემსრულებლის წოდება მოიპოვა. მიყვარს პართენა წვერა („ჭკვიანი ვიყები“ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით ა. მთაიშვილის სცენოგრაფიით, შ. ბაბილოძე), რომელიც სცენოგრაფმა გამოიგონა, ი. გოგებაშვილი („ავენანამ რა ჩაა?“, ი.

გოგებაშვილი, კ. გურგენიძე) გოგი („თეფში“, ზ. პაპაშვილი, ი. გურგენიძე), ჩამოთვალა შორს წაგვიყვანა. ემოციური ადამიანი ვარ, ცოტა მწყინს და ცოტა მიხარია. სცენაზე დღემისას საზოგადოებისაგან მიღებული ტამი არის ყველაზე დიდი სისარული, ბედნიერება. ალბათ ჩემი კოლეგებისთვისაც ასეა. მსახიობობა რას მოითხოვს თქვენგან? გერმანელების ნათქვამა წესრიგი ცხოვრების ნახევარია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მომზადებული შეხვედრა ჩემს ყველა გასვლას სცენაზე. დიდი პასუხისმგებლობით ვეკადრები გრძობის, კოსტიუმის მორგებას, მეტყველების ვარჯიშებს, თეატრში დროულად მოსვლას.

დღეაჩემი პედეგოგი იყო, მისი დარჩენა მასხოვს, დილას გადამიორბდა საუკეთესო შედეგს იძლევა და მეც ყოველ დილას ვიძიებ ტექსტს. ასე რომ, სამსახურისაკენ მომავალს, ფეხით ორ კილომეტრამდე გზას გავდივარ, ხშირად ამდენზეა ჩემი პერსონაჟები, ზოგჯერ ხმაძილავ წამომცდება ფრაზა. ადრე მაღვიძლე ბოდა ჩემი და კოლეგების როლის დამასხორება. ახლა, ასაკთან ერთად, მეტ ძალისხმევას ვიჩენ, ვფრთხილობ. ჩემი აზრით, თუ სცენაზე გასვლის წინ პულსი თუ არ ავიჩქარდა, არ ვანიციდი, ისე ვერ ითამაშებ კარგად.“

თეატრ კვირკველიას ორმოცდახუთი წლის მანძილზე ბევრი ვიღობი და მყურებლის აპლოდისმენტები მიუღია. გამაარჩევს ღირსების მედალს და ევტროფი თაღაკვაძის სახელობის სიგელს. ევტროფი თაღაკვაძე ოზურგეთისა საერთოდ, ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი იყო.

ბატონი თეატრის თეატრის კოლორიტული ანსამბლის „ბერძენი“ წევრია, რომელიც ძალიან პოპულარულია არა მარტო გურიაში. თავად მოკრძალებულად აფასებს თავის შესაძლებლობებს:

„– სიმღერა ბავშვობიდანვე მიყვარდა, დედა, მამა და ბაბუა, თეატრში, მღეროდნენ. ბავშვები ცნობილი



ლოტბარი იყო, აჭარაში ამ დღეებში მის 120 წლისთვის აღნიშნავენ. მიყვარს სიმღერა და ვებრევიარ. სიმღერას ჩვენს თეატრში ცნობილი ლოტბარები გვასწავლიდნენ, უცხოეთში გასტროლებისას ჩვენი ანსამბლის კონცერტები ცალკე იმართებოდა. ხშირად ვმონაწილეობთ სხვადასხვა ღონისძიებაში, რამდენიმე კლიპებშიც გადავიღეთ. ოზურგეთის თეატრი ალბათ ამ ანსამბლის ტრადიციას შეინარჩუნებს. ძალიან ვვანებობ ჩემს მყურებლებს, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში იფრინება ეს.“

მსახიობის შვილები, ეკა და ვიორგი, მედიკოსები არიან, ისინი გერმანიაში ცხოვრობენ. მეუღლე – გულნარა გაბუღავა პროფესიით ფურნალისტიკა.

70 და 45! დიდებული ციფრებია, მაშინ როცა საქმე სწორად განვლილ ცხოვრების წლებს ეხება. ვულოცავთ ბატონ თეატრს და მის ოჯახს საუკეთესო სურვილებით და როგორც თვითონ ამბობს, ყველაზე დიდი ვიღობს, მყურებლის აპლოდისმენტების სიმრავლეს ვუსურვებთ სხვა ცხოვრებისეულ წარმატებებთან ერთად.

ლია კილაძე

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>მზი</b> , +13+25	<b>მზი</b> , <b>ღრუბლი</b> +12+22	<b>მზი</b> , <b>ღრუბლი</b> +12+22	<b>მზი</b> , <b>ღრუბლი</b> +12+21	<b>წვიმა</b> , +10+20	<b>მზი</b> , <b>ღრუბლი</b> +12+23	<b>მზი</b> , <b>ღრუბლი</b> +11+21
29 ოქტომბერი ხუთშაბათი	30 ოქტომბერი პარასკევი	31 ოქტომბერი შაბათი	1 ნოემბერი კვირა	2 ნოემბერი ორშაბათი	3 ნოემბერი ორშაბათი	4 ნოემბერი სამშაბათი